ოქმი N14

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2015 წლის 25 ნოემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მელორი გელანტიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

2. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 თებერვლის N15 და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. ნადარაია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგის გაცნობის შემდგომ განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა ედიშერ წურწუმიამ და აღნიშნა, რომ არ აქვს ბიუჯეტის 2016 წლის პროექტი, მას გააჩნია მარტო განმარტებითი პროექტი. მისი განცხადებით ყველა საკრებულოს წევრს უნდა ქონდეს დარიგებული 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, რათა გაერკვეს და მიიღოს განხილვაში მონაწილეობა

სხდომის თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი გამგეობიდან წარმოდგენილ იქნა დროულად, ის გამოქვეყნებულ იქნა ადგილობრივ გაზეთში „ხობის მოამბე", განხორციელდა ბიუჯეტის საჯარო განხილვა, პროექტი ასევე განხილულ იქნა საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში, ვისაც სურვილი ქონდა შესაძლებელი იყო დასწრებოდა განხილვებს, ასევე საკრებულოს აპარატს გააჩნია მყარ დისკზე ჩაწერილი ბიუჯეტის პროექტის ელექტრონული ვერსია, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა საკრებულოს წევრისთვის.

მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ ტრიბუნასთან სთხოვა N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს (ს. პერტია) N66.06 გურიფულის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გაცნობის მიზნით

მოისმინეს: ს. პერტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო N66.06 გურიფულის თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი (ოქმს თან ერთვის)

N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის მიერ ოქმის წარმოდგენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ავადმყოფობის გამო, საკრებულოს სხდომას ვერ ესწრებოდა სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (ნ. შუშანია) გამომდინარე აქედან კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს და დასკვნას წარმოადგენდა ამავე კომისიის წევრი თენგიზ აბაკელია

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მელორი გელანტიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის

წევრი;

მოისმინეს: თ. აბაკელია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მელორი გელანტიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ და სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ლაშა გვასალიას პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის გამო გურიფულის თემის N66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები, რომლის შედეგების თანახმად საკრებულოს წევრად გურიფულის მაჟორიტარულ ოლქში არჩეულ იქნა კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატი მელორი გელანტია. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ არჩეულ საკრებულოს წევრთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, ისაუბრა მის დადებით მხარეებზეც, მაგრამ დასძინა, რომ კოალიციამ მის მიერ წარდგენილი კანდიდატი ბატონი მელორი გელანტია ძალზედ უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა, რადგანაც ის დაუპირისპირა მის ოპონენტ კანდიდატს, რომელიც მ. გელანტიას ალალი ბიძაშვილია. დასძინა, რომ მათი წყალობით ეს ორი ოჯახი ერთმანეთს დაუპირისპირდა, რაც მისი აზრით არასწორი იყო.

საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, ბატონი მელორი გელანტიას სურვილი იყო მონაწილეობა მიეღო ამ არჩევნებში, ხოლო კოალიციას მის კანდიდატურასთან საწინააღმდეგო არაფერი ქონდა და შეთანხმების საფუძველზე მოხდა მისი წარდგენა და მოუწოდა გამომსვლელს ასეთი აბსურდული ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეეკავებინა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე, მ. ყურუა)

სხდომის თავმჯდომარემ წარმატებები უსურვა ახლად არჩეულ საკრებულოს წევრს ბატონ მელორი გელანტიას და სთხოვა დაეკავებინა მისთვის განკუთვნილი ადგილი.

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N57 ოქმს თან ერთვის)

2. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში დროულად იქნა წარმოდგენილი, გამოქვეყნებულ იქნა ადგილობრივ გაზეთში, მოხდა მისი საჯარო განხილვა, ასევე განხილულ იქნა ფრაქციებში და შესაბამის კომისიებში და საკრებულოს წევრების მხრიდან არის გარკვეული სახის შენიშვნები და სთხოვა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა მიმართა მომხსენებელს (დ. ჭოჭუა), რომ მუნიციპალიტეტში შემცირებულ იქნა შტატები, გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის ხარჯზე, რომელიც გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში, რომლიდანაც გამონთავისუფლებული თანხები მიიმართა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში, მაგრამ განმარტებით ბარათში ეს არ არის გაშიფრული, შემდგომში ასეთი გადანაწილებები აუცილებლად დეტალურად უნდა იქნეს გაშიფრული განმარტებით ბარათში. გამომსვლელი დაინტერესდა საჯარო მოხელეების სახელფასო სარგოს გაზრდასთან დაკავშირებით და აღნიშნა თუ რა პრინციპით იქნა გაზრდილი სახელფასო სარგო, რადგანაც სამსახურის უფროსის სახელფასო სარგო თითქმის 37%-ით არის გაზრდილი და სპეციალისტის კი 4%-ით.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ სახელფასო სარგოს გაზრდა განხორციელდა რანგირების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გამგეობის სოციალური სამსახურის მიერ უნდა შემუშავდეს წესი, რის მიხედვითაც უნდა გადანაწილდეს თანხები სოციალურ პროგრამებზე, სადაც კომისიაში ჩართული უნდა იქნეს საკრებულოს ერთი წარმომადგენელი მაინც და სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოთავაზებული ვარიანტით ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრულია 6601,6 ათასი ლარით, მათ შორის საგრანტო შემოსავლების ხარჯზე მოდის 2347,7 ათასი ლარი, გადასახადები 3450,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 424,6 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 379,3 ათასი ლარი. წინა წელთან შედარებით საშემოსავლო ნაწილი გაზრდილია 177,4 ათასი ლარით, გადასახადები შემცირებულია 550,0 ათასი ლარით, საგრანტო შემოსავლები გაზრდილია 575,9 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6410,6 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1789,4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1017,6 ათასი ლარი, სუბსიდიები 3084,1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 423,2 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 188,3 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -337,9 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 41,4 ათასი ლარი, კლება -379,3 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 149,6 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6601,6 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 6410,6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 41,4 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 149,6 ათასი ლარით. რაც შეეხება სახელფასო სარგოების ზრდას, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს შემდეგი სახის კორექტირება: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს სახელფასო სარგო განესაზღვროს 1800 ლარის ოდენობით; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს - 1500 ლარის ოდენობით, დამხმარე მოსამსახურეს (დამლაგებლები) – 500 ლარის ოდენობით; დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი) - 800 ლარის ოდენობით; მთავარი სპეციალისტების სახელფასო სარგო განისაზღვროს 820 ლარის ოდენობით, რაც რაც საერთო ჯამში შეადგენს 32%-იან ზრდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამონთავისუფლებული თანხა ჯამში შეადგენს 10200 ლარს. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული თანხა, 10200 ლარი, მიიმართოს გამგეობის სპეციალისტების სახელფასო განაკვეთის ზრდაზე და მათი სახელფასო სარგო განისაზღვროს 580 ლარის ოდენობით ნაცვლად 550 ლარისა. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებები წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად და გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის გამგეობას პროექტის კორექტირებისთვის.

კენჭი ეყარა საფინანსო-სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე, ლ. ლოლუა, ი. ნადარაია, მ. ყურუა)

კენჭი ეყარა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს საფინანსო-სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე, ლ. ლოლუა, ი. ნადარაია, მ. ყურუა)

დაადგინეს: დაუბრუნდეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი შემდგომი რეაგირებისთვის, საფინანსო-სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით გამგეობის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც აუდიტორული დასკვნების საფუძველზე ამორტიზირებული და ექსპლოატაციისთვის უვარგისია. გამგეობის განმარტებით ავტომანქანები „რენო-მეგანი" და „ფორდ-მონდეო" 2 წელია იმყოფება საპრივატიზებო რეჟიმში და თუმცა ვერ გამოვლინდა მყიდველი, მათზე დარიცხულია ცვეთა თითოეულზე 56%, მაგრამ ორივე ექსლოატაციისთვის უვარგისია, არ მუშაობს ავტომანქანის ძრავი, სიჩქარეთა კოლოფი, მანქანის იატაკი კოროზირებულია, მათი აღდგენისთვის საჭირო ხარჯი აჭარბებს შესასყიდ ფასს. ასევე ამორტიზირებულია ქ. ხობში, სპორტის ქ. N3-ში მდებარე სპორტდარბაზის შენობა, რომლის საბალანსო ცვეთა შეადგენს 60%, მაგრამ შენობა იმდენად დაზიანებულია, რომ ის არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, რადგანაც წვრილი ბლოკით ნაშენი კედელი ჩამოშლილია, დაზიანებულია კედლის საფარი, დასუსტებულია შენობის კუთხეები, გამოუსადეგარია შენობის შიდა ფართი. ასევე მწყობრიდან გამოსულია და ფუნქცია დაკარგული აქვს ახალსოფლის ტერიტორიულ ერთეულში არსებულ თავდაცვის ნაგებობას, რომელიც საშიშია მოსახლეობისათვის. ნაგებობა მდებარეობს საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე და წარმოადგენს ქვეწარმავალთა ბუდეს. ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურს მიზაშეწონილად მიაჩნია ზემოთ ჩამოთვლილი ქონება ჩამოიწეროს ბალანსიდან და მათი ვარგისი ნაწილები პრივატიზებული იქნეს აუქციონის წესით. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე, ლ. ცატავა, ი. ნადარაია, მ. ყურუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N58 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების საპრივატიზებო ნუსხა, განკარგულების პროექტში მითითებული ქონება ამორტიზებული და ექსპლოატაციისთვის უვარგისია და გამგეობის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა მათი პრივატიზება აუქციონის წესით. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე, ლ. ცატავა, ი. ნადარაია, მ. ყურუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N59 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით გამგეობაში შევიდა ა(ა)იპ „ლაზიერის“ ხელმძღვანელობის განცხადება, რომლებიც ითხოვენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მდებარე ქალაქი ხობი ცოტნე დადიანის ქ. N185-ში, მე-3 სართულზე 21 კვ.მ ფართის იჯარის წესით გადაცემას, ჭადრაკის მოყვარულთა კლუბის გახსნის მიზნით. მოთხოვნილი ფართი არის დაუტვირთავი და ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ფართი დაინტერესებულ პირს გადაეცეს იჯარის წესით და ყოველთვიური გადასახდელი თანხა განისაზღვროს 27,65 ლარის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, თ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე, ი. ნადარაია, მ. ყურუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N60 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული დარბაზი, მდებარე ქ. ხობში, სპორტის ქ. N3-ში უზუფრუქტის წესით გადაცემული ჰქონდა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრს. გამგეობაში შემოვიდა განათლების ცენტრის ხელმძღვანელობა წინადადებით, ზემო აღნიშნული უზუფრუქტის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, გამომდინარე იქედან, რომ შენობა ამორტიზებული და გამოუსადეგარია. ამ წინადადების საფუძველზე შენობას ჩაუტარდა აუდიტორიული შემოწმება და აუდიტის მიერ დაიდო დასკვნა, რომ შენობა გამოუსადეგარია, არ გააჩნია კარ-ფანჯრები, არ უვარგა სახურავი, რის გამოც გამოსულია მწყობრიდან და შეუძლებელია იქ მეცადინეობების ჩატარება, ამასთან შენობის რეაბილიტაცია შეუძლებელია, რადგანაც კედლის ბლოკები ჩამოშლილია და დაზიანებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიაჩნეული

უზუფრუქტის ხელშეკრულების მოშლა და შესაბამისად საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების განხორციელება. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ტ. ალექსანდრია, ფ. შონია, თ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე, ი. ნადარაია, მ. ყურუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N61 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 თებერვლის N15 და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 თებერვლის N15 და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისა" და ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის რეორგანიზაცია (შერწყმა). წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ის განკარგულებები, რომლითაც სარგებლობის უფლებით ჰქონდა ზემო აღნიშნულ იურიდიულ პირებს მუნიციპალიტეტის ქონება გადაცემული. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ქარდავა, ფ. შონია, თ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, კ. მიქაბერიძე, ი. ნადარაია, მ. ყურუა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N62 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესამე მოწვევის საკრებულოს 2015 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. შოთა სირაძე
7. თენგიზ აბაკელია
8. ვასილ კუკავა
9. ლევან ქავთარაძე
10. როსტევან გვარამია
11. თემურ გულუა
12. ედიშერ წურწუმია
13. ირაკლი ნადარაია
14. ლეონიდე ლოლუა
15. მზია ლემონჯარია
16. კახა მიქაბერიძე
17. ჯემალ ნადარაია
18. კახა ლატარია
19. გიორგი ხურცილავა
20. მერაბ ფილიპია
21. მალხაზ ყურუა
22. ბეჟან ქირია
23. იგორ გოგოლაძე
24. გენად ქაძანაია
25. გენად ზარანდია
26. მერაბ ნადარაია
27. მელორი გელანტია
28. ფრიდონ შონია
29. ლაშა ცატავა